იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღების ფართს (მაგ.: აგარაკი, სოფელი) იყენებთ სეზონური დასვენებისთვის და შესაბამისად მომსახურებით სარგებლობთ მხოლოდ წლის გარკვეულ პერიოდში, სეზონური სერვისის (შემდგომში - სეზონური სერვისი) ფარგლებში საშუალება გეძლევათ ფიქსირებული ინტერნეტი/IPTV მომსახურება შეაჩეროთ გარკვეული პერიოდით, ისე რომ არ იმოქმედებს მომსახურების ან ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული პირობა და მომსახურებით სარგებლობის განახლებისთვის საჭირო იქნება მხოლოდ თქვენი ანგარიშის რეაქტივაცია, ყოველგვარი დამატებითი საინსტალაციო სამუშაოების თუ მოწყობილობების განთავსების გარეშე, შესაბამისი სეზონური სერვისის საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

ოპერატორის მიერ განსაზღვრულ ლოკაციებზე, სეზონური სერვისი ჩაირთვება ავტომატურად (რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და მიიღებს შესაბამის შეტყობინებას).

1. სეზონური სერვისით სარგებლობის წესები და პირობები

1.1 სეზონური სერვისით სარგებლობისათვის აბონენტი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.2 სეზონური სერვისით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ოპერატორის მიერ დადგენილ გეოგრაფიულ ლოკაციებში (დაბა, დასახლება და ა.შ.).

1.3 სეზონური სერვისით სარგებლობისათვის აბონენტს ჩართული უნდა ჰქონდეს სეზონური სტატუსი. სეზონური სტატუსის გააქტიურება ხორციელდება როგორც აბონენტის მიერ ოპერატორის ქოლ-ცენტრში/მომსახურების და რეალიზაციის ოფისში დაფიქსირებული მოთხოვნით, ოპერატორის შესაბამის შეთავაზებაზე აბონენტის თანხმობით ან ავტომატურად ოპერატორის მიერ განსაზღრულ ლოკაციებზე.

1.4 ინტერნეტი/IPTV მომსახურების სააბონენტო საფასურის გადახდის ვადის დადგომიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობა ჩაითვლება, სეზონური სტატუსის მქონე აბონენტის მხრიდან შესაბამისი სეზონური სერვისის აქტივაციის მოთხოვნად (რომელიც აითვლება სააბონენტო საფასურის გადახდის ვადის დადგომის დღიდან), რაც გულისხმობს იმას, რომ ინტერნეტი/IPTV სარგებლობა შეჩერდება აბონენტის მიერ მისი რეაქტივაციის მოთხოვნამდე ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

1.5 ინტერნეტი/IPTV რეაქტივაცია. რეაქტივაციის მოთხოვნა შესაძლებელია ინტერნეტი/IPTV მომსახურების სააბონენტო საფასურის გადახდის ვადის დადგომიდან 360 კალენდარული დღის განმავლობაში. რეაქტივაცია განხორციელდება აბონენტის მიერ არჩეული პაკეტის სააბონენტო გადასახდელის სრულად გადახდის შემთხვევაში, რომელი თანხიდანაც დაიფარება სეზონური სერვისის საფასური და კრედიტის თანხა/სხვა დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ოპერატორი უფლებამოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ცალმხრივად შეწყვიტოს აბონენტთან დადებული ხელშეკრულება.

1.6 რეაქტივაციის საფასური დღგ- ს ჩათვლით: შეჩერებული ინტერნეტი/IPTV მომსახურების, შეჩერებიდან პირველი 150 კალენდარული დღის ვადაში რეაქტივაციის შემთხვევაში შეადგენს - 10 ლარს, ხოლო მომდევნო 210 კალენდარული დღის შემთხვევაში დამატებით - 5 ლარს.

1.7 ინტერნეტი/IPTV სარგებლობის დროს (აქტიური მომსახურების ქონისას) შესაძლებელია შესაბამის მომსახურებაზე დროებითი შეჩერების სერვისის გააქტიურება (პირობები იხ. https://www.magticom.ge/ka/internet/internet-services/isppause).

1.8 ინტერნეტ/IPTV სააბონენტოს გადახდის ვადის დადგომიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში შესაძლებელია კრედიტის სერვისით სარგებლობა (პირობები იხ. https://www.magticom.ge/ka/private/internet/internet-services/credit-internet კრედიტის გააქტიურებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. წინამდებარე პირობების 1.4. პუნქტის მიზნებისათვის, აბონენტის მხრიდან სეზონური სერვისის აქტივაციის მოთხოვნად ჩაითვლება, კრედიტის ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში შესაბამისი სააბონენტო საფასურის, მათ შორის კრედიტით სარგებლობის პერიოდში დარიცხული თანხის გადაუხდელობა, რაც გულისხმობს იმას, რომ

ინტერნეტი/IPTV მომსახურებით სარგებლობა შეჩერდება აბონენტის მიერ მისი რეაქტივაციის მოთხოვნამდე.

1.9 თუ ინტერნეტი/IPTV სარგებლობა ხორციელდება სულ მცირე უწყვეტი 4 კალენდარული თვის განმავლობაში, ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტისათვის 30 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეუწყვიტოს აბონენტს სეზონური სტატუსი, რაც ზღუდავს სეზონური სერვისის გამოყენების უფლებას.

1.10 აბონენტს უფლება აქვს ქოლ-ცენტრში/მომსახურების და რეალიზაციის ოფისში დაფიქსირებული მოთხოვნით ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა ფორმით ნებისმიერ დროს გააუქმოს სეზონური სტატუსი.